

საიდ. №71627/03

IR 1152233

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №183-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „დაიმლერ აგ“ (Daimler AG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №183-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №2220/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ANTOS“ (საიდ. №71627/03, IR 1152233) დაცვის მინიჭება საქართველოში მე-12 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მაღალი ტვირთამწეობის სატვირთო

ავტომობილები და მათი ნაწილები“ (Heavy-duty trucks and parts thereof) და 37-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მაღალი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილების რემონტი და ტექნომსახურება“ (Repair and maintenance of heavy-duty trucks).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს №2220/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "ANTOS" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის "ჰიუნდაი მოტორ კომპანის" (მისამართი: 231, იანგჯაი-დონგი, სეოჩო-გუ, სეული, 137-938) სახელზე მე-12 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის "საქპატენტში" რეგისტრირებული ნიშნისა "ATOS" (რეგისტრაციის N10417, რეგისტრაციის თარიღი: 20/08/1998). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნიშანი არ უნდა იქნეს რეგისტრირებული 37-ე კლასის მიმართ, ვინაიდან აღნიშნულ კლასში წარმოდგენილი მომსახურება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვლის მსგავსია. წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ საერთო ფუძე - "ATOS", განცხადებულ ნიშანში ერთი განსხვავებული ასოს - "N" არსებობა, არ ანიჭებს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას. შესაბამისად, ნიშნებს შორის ადგილი აქვს, როგორც ვიზუალურ, აგრეთვე, ჟღერადობრივ მსგავსებას, რაც ქმნის სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „დაიმლერ აგ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები განსხვავებულია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. აპელანტის პოზიციით, გაუგებარია განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი 37-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ვიზუალურად განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან, რადგან იგი შედგება 5 ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება 4 ასოსაგან. განცხადებულ ნიშანში დამატებითი ასოს - „N“ არსებობა, განასხვავებს მას დაპირისპირებული ნიშნისაგან, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. აპელანტის განმარტებით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანია „დაიმლერ აგ“ განცხადებული სასაქონლო ნიშნის ქვეშ „ANTOS“ აწარმოებს სატვირთო მანქანებს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „ATOS“ ქვეშ იწარმოება მსუბუქი მანქანები, რაც განაპირობებს განსხვავებულ მომხმარებელს და გამორიცხავს ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. აპელანტის პოზიციით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ძვირადღირებულ საქონელს (ავტომობილებს) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით წარმოებული ავტომობილები განეკუთვნებიან სხვადასხვა კლასის ავტომობილებს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მსოფლიო ლიდერებს ავტომობილების წარმოებაში და მათი პროდუქცია საქართველოში იყიდება ავტორიზებულ ავტოდილერებთან. ამასთან, სააპელაციო საჩივრის განხილვის ზეპირ სხდომაზე აპელანტმა წარმოადგინა წერილი და განმარტა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელ კომპანიასთან საქონლის შეზღუდვის შესახებ, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული შეთანხმება მხარეებს შორის არაა მიღწეული. ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №2220/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ANTOS“ (საიდ. №71627/03, IR 1152233) დაცვის მინიჭებას საქართველოში მე-12 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მაღალი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები და მათი ნაწილები“ (Heavy-duty trucks and parts thereof) და 37-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მაღალი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილების რემონტი და ტექნომსახურება“ (Repair and maintenance of heavy-duty trucks).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ANTOS“ (IR 1152233) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ATOS“ (რეგ. N10417) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებულ ნიშანში ერთი დამატებითი ასოს - „N“ არსებობა ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ანტოს“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი, როგორც „ათოს“. ორივე ნიშანი ორ მარცვლიანია და მათი საწყისი და ბოლო ნაწილები იდენტურად გამოითქმის.

მსგავსია, ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონელი მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს. რაც შეეხება 37-ე კლასს, კოლეგიას მიაჩნია, რომ 37-ე კლასით გათვალისწინებული მომსახურება „ავტომობილების შეკეთება და ტექნომსახურება“ თავისი ხასიათით და ბუნებით, დაკავშირებულია მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალთან, კერძოდ: „სამგზავრო მსუბუქი მანქანები; ავტობუსები; სატვირთო მანქანები; ტრეილერები; ფურგონები; მათი ნაწილები და აქსესუარები“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ANTOS“ (საიდ. №71627/03, IR 1152233) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „დაიმლერ აგ“ (Daimler AG) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №2220/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ს. ებრალიძე